ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს წევრების ელექტრონული გამოკითხვის შედეგები
ოქმი №16

16 ივლისი, 2025 წელი

გაცნობისა და ელექტრონული გამოკითხვის ჩატარების საფუძველზე დამტკიცების მიზნით საბჭოს წევრებს გაეგზავნათ დღის წესრიგი და განსახილველ საკითხების შესაბამისი მასალები:

დღის წესრიგი:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების** და **ტურიზმის** საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ჩავლეიშვილი/

2. მაგისტრატურის ახალი საგანმანათლებლო პროგრამის (EMBA) **„მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები"** შესახებ (60 ECTS; პროგრამის ხელმძღვანელები პროფესორი დ. სიჭინავა, ასოცირებული პროფესორი რ. სეთურიძე)

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ჩავლეიშვილი/

3. მაგისტრატურის ახალი საგანმანათლებლო (EMBA) პროგრამის **„ბიზნეს-ანალიტიკა"** შესახებ (60 ECTS; პროგრამის ხელმძღვანელები პროფესორი გ. ღაღანიძე, ასოცირებული პროფესორი თ. მუნჯიშვილი)

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ჩავლეიშვილი/

4. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საგანმანათლებლო პროგრამებში - **ბაკალავრიატის** საგანმანათლებლო **პროგრამა „ეკონომიკა" (ინგლისურენოვანი); მაგისტრატურის** საგანმანათლებლო **პროგრამა „ეკონომიკა" (ინგლისურენოვანი), მაგისტრატურის** საგანმანათლებლო **პროგრამა „ფინანსები" (ინგლისურენოვანი)** - განხორციელებული ცვლილებების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ჩავლეიშვილი/

5. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ჩავლეიშვილი/

6. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ;

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლომაკაძე/

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების** და **ტურიზმის** საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ:

ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამები

1. **ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება N57/2011, დანართი77)**

➢ *ცვლილება:* **სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება/მოდიფიცირება.**

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილებები სასწავლო კურსების შემდეგ სილაბუსებში:

  1. საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსი **„მეწარმეობის ეკონომიკა"** (მიკროეკონომიკის მოდული); 2. **„ეკონომეტრიკა" (Minor); „ოპერაციათა კვლევა"; „მათემატიკური მოდელირება ეკონომიკაში", „თამაშთა თეორია ეკონომისტებისთვის"** (ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები), კერძოდ, კორექტირდა კურსის სწავლის მიზნები, შედეგები, თემატიკა, ლიტერატურა.

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება და უფრო მეტად დაახლოება თანამედროვე აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან.

- **ცვლილება:** **თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსის დამატება.**

- **ცვლილების აღწერა:** კურსდამთავრებულებისთვის პრაქტიკული ანალიზის უნარებისა და სასწავლო კურსების არჩევანის გაფართოების მიზნით, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „ეკონომიკა" დაემატა თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსი **„მონაცემთა ანალიზი R-ში"** (5 კრედიტი, შემოდგომის სემესტრი, სილაბუსის ავტორი პროფესორი ი. ანანიაშვილი, მოწვეული პედაგოგი გ. კობრეიძე).

საფუძველი: პროგრამის გაფართოება არჩევითი კურსების შეთავაზებით.

- **ცვლილება:** პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების ცვლილება.

- **ცვლილების აღწერა:** შესასწავლი მასალის მოცულობის, სირთულის, სტუდენტთა გამოკითხვების (გამოკითხვები-სტუდენტთა კმაყოფილება) გაანალიზებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ეკონომეტრიკის კათედრამ განიხილა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში: **„ეკონომეტრიკა 1", „ეკონომეტრიკა 2"** და მოდულის (ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა) სავალდებულო სასწავლო კურსში **„ეკონომეტრიკა 3"** გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა და ლექცია 15 საათის ნაცვლად გახდეს 30 საათი. გამომდინარე აქედან, ჩამოთვლილ სასწავლო კურსებში (**„ეკონომეტრიკა 1", „ეკონომეტრიკა 2", „ეკონომეტრიკა 3"**) საათები განაწილდეს შემდეგნაირად: ECTS 5 კრედიტის 125 საათი; მათ შორის, **საკონტაქტო - 60 საათი;** (კვირაში 2 სთ ლექცია, 2 სთ სემინარი/პრაქტიკული) და **65 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.**

საფუძველი: პროგრამის სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების კორექტირება, სტუდენტთა სწავლებით კმაყოფილების კვლევის, პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის ანალიზის შედეგები.

2. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება №57/2011, დანართი 80)**

- *ცვლილება:* **სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება/მოდიფიცირება.**

- **ცვლილების აღწერა:** საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის მოდულის სასწავლო კურსების სილაბუსები: **1. „ეკონომიკური დოქტრინები", „ეკონომიკურ-ფინანსური დოქტრინები" და „საერთაშორისო ფინანსების ისტორია"** - დაკორექტირდა შეფასების კომპონენტები, კერძოდ, ზეპირი სასემინარო მოხსენებები, დისკუსიები და დებატები გაერთიანდა ერთ კომპონენტში აქტივობა სასემინარო მეცადინეობაზე და შესაბამისად გადანაწილდა შეფასებების ქულებიც; **2.** სასწავლო კურსის სილაბუსში **„საერთაშორისო ეკონომიკა II"** ინდივიდუალური პრეზენტაციის შეფასება განისაზღვრა სტუდენტის მიერ სასემინარო მეცადინეობაზე დამოუკიდებლად მომზადებული პრეზენტაციის წარდგენით.

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსების კომპონენტების განახლება/ოპტიმიზაცია

3. **დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება 57, დანართი 84)**

➢ *ცვლილება:* **პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილება **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში, კერძოდ:**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ეკონომიკა“** სწავლა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს:

- ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ✓ შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- ✓ **ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა** (ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა, რომელიც აღიარებული უნდა იყოს თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ან ან თსუ-ს მიერ ორგანიზებული წერილობითი გამოცდის ჩაბარება ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაში); **გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში, დოქტორანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება არანაკლებ B1 დონეზე.** (დანართი №2). https://www.tsu.ge/ka/legalakad/50806
- ✓ აქვს პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია/ თანხმობა;

- დოქტორანტურის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს კვლევის თეზისი/პროექტი.
- დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული 2 ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში;
- დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას დარგობრივ კომისიასთან.

დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით და ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯაროა და განთავსებულია თსუ და ფაკულტეტის ვებ გვერდზე.

საფუძველი: პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განხორციელებული ცვლილება თანხვედრაშია დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტსა (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება N: 138/2024; 13.12.2024) და შესაბამისად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში განხორციელებულ ცვლილებასთან (ფაკულტეტის საბჭოს სხდომა №10; 30 მაისი, 2025)

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამები

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება (180 კრედიტი)" (აკადემიური საბჭოს 2024 წლის 15 აპრილის დადგენილება 55, დანართი 321)

- **ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სემესტრული ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** მოდულის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი" სავალდებულო სასწავლო კურსს **„ბიზნეს მონაცემთა ანალიზი Excel-ის გარემოში"** გაზაფხულის სემესტრის (სემესტრი 6) ნაცვლად განესაზღვრა შემოდგომის სემესტრი (5 სემესტრი); ხოლო სავალდებულო სასწავლო კურსს **„ეკონომიკასა და ბიზნესში მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა"** შემოდგომის სემესტრის (სემესტრი 5) ნაცვლად განესაზღვრა გაზაფხულის სემესტრი (6 სემესტრი).

საფუძველი: კონცენტრაციის სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

- **ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორისა და წამკითხველი ლექტორის ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** 1. მოდულის „საერთაშორისო ბიზნესი" სავალდებულო სასწავლო კურსის **„კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში"** სილაბუსს დაემატა ავტორი თინათინ ჟორჟოლიანი და წამკითხველი ლექტორი დოქტორანტი რუსუდან მაისურაძე; 2. მოდულის „აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი" სავალდებულო სასწავლო კურსების: 1. **„მმართველობითი აღრიცხვა 1" და „მმართველობითი აღრიცხვა 2"** სილაბუსის ავტორებს დაემატა ასოცირებული პროფესორი მ. ჯიქია; 2. სასწავლო კურსის **„ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში"** ავტორი გახდა ასისტენტ-პროფესორი ლია ბოზმანაშვილი.

საფუძველი: პროგრამის გაძლიერება ადამიანური რესურსებით, ასევე აღრიცხვა ანალიზი, აუდიტის კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა ი. ჭილაძემ საკუთარი სურვილით შეწყვიტა პედაგოგიური საქმიანობა. გამომდინარე აქედან, სასწავლო კურსები, რომელსაც უძღვებოდა ქალ. ი. ჭილაძე, საჭირო გახდა ცვლილებების განხორციელება.

- **ცვლილება: სასწავლო კურსის წინაპირობების ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება" (180 კრედიტი) წინაპირობა მოეხსნა შემდეგ სასწავლო კურსებს: **1.** მოდულების „მენეჯმენტი" და „საჯარო მმართველობა" სავალდებულო სასწავლო კურსს **„ორგანიზაციული ქცევის მართვა"**; 2. მოდულის „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი" სავალდებულო სასწავლო კურსებს **„ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი"; „საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმსა და მასპინძლობაში";**

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება მოდულის შესაბამისად

- **ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების დამატება.**

- **ცვლილების აღწერა:** ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „ბიზნესის ადმინისტრირება" (180) დაემატა თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები: 1. **„ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა "ბალანსი"** (5 კრედიტი, შემოდგომის სემესტრი, სილაბუსის ავტორი, ასოცირებული პროფესორი ნ. სრესელი). კურსი სტუდენტებში სარგებლობს მაღალი შეფასებით, მოთხოვნადია, სტუდენტებს უვითარებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; 2. **„რაოდენობრივი მეთოდები ბიზნესში"** (5 კრედიტი, შემოდგომის სემესტრი, სილაბუსის ავტორი, პროფესორი ი. ანანიაშვილი, ასოცირებული პროფესორი ლ. თოთლაძე). კურსი გააფართოებს პროგრამის არჩევითი კურსებს და შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს განივითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები; 3. **C# პროგრამირება ეკონომიკასა და ბიზნესში"** (5 კრედიტი, შემოდგომის სემესტრი, სილაბუსის ავტორი, პროფესორი დ. სიჭინავა, მოწვეული პედაგოგი მ. მაჩიტიძე). 4. **„კურორტის მენეჯმენტი"** (5 კრედიტი, შემოდგომის სემესტრი, სილაბუსის ავტორი ასოცირებული პროფესორი ნ. კაციტაძე).

საფუძველი: პროგრამის გაფართოება არჩევითი კურსების შეთავაზებით. აღნიშნული სასწავლო კურსებით პროგრამის გაფართოება ესადაგება კლასტერული აკრედიტაციის დროს ექსპერტთა დასკვნის რჩევებს, შესაბამისად, ცვლილება თანხვედრაშია 2024 წლის 13 დეკემბრის პროგრამის აკრედიტაციის № 1614169 გადაწყვეტილებასთან, რჩევა 16.

- **ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება/მოდიფიცირება.**

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში **„მენეჯმენტის საფუძვლები"** დაკორექტირდა შეფასების კომპონენტები, კერძოდ, განხორციელდა შეფასების კრიტერიუმების ოპტიმიზაცია და განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმებით: სასემინარო/პრაქტიკულ მეცადინეობაზე აქტიურობა (30 ქულა, მათ შორის: ზეპირი/წერითი გამოკითხვა სასემინარო მეცადინეობაზე - 20 ქულა, აქტიურობა სამუშაო ჯგუფებში და პრაქტიკულ მეცადინეობებზე - 5 ქულა, სამინაო დავალებების პრეზენტაცია – 5 ქულა); შუალედური გამოცდა (30 ქულა); დასკვნითი გამოცდა (40 ქულა).

შენიშვნა: აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში.

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსის კომპონენტების განახლება/ოპტიმიზაცია, შეფასების უფრო ეფექტური სისტემით.

- **ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსში გამოცდის ჩატარების ფორმატის ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** მოდულის აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი სავალდებულო სასწავლო კურსში **„პროფესიონალი ბუღალტერიისა და აუდიტის ეთიკა"** შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი ფორმით თსუ საგამოცდო ცენტრში, ნაცვლად კომპიუტერისა.

საფუძველი: გამოცდის ფორმატის ცვლილება გამოწვეულია სასწავლო კურსში არსებული დავალებებიდან გამომდინარე.

2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება (240 კრედიტი)" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება 57, დანართი 78)

- **ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორისა და წამკითხველი ლექტორის ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** 1. მოდულის ,,საერთაშორისო ბიზნესი" სავალდებულო სასწავლო კურსის **„კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში"** სილაბუსს დაემატა ავტორი თინათინ ჟორჟოლიანი და წამკითხველი ლექტორი დოქტორანტი რუსუდან მაისურაძე; 2. მოდულის ,,აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი" სავალდებულო სასწავლო კურსების: 1. **„მმართველობითი აღრიცხვა 1" და „მმართველობითი აღრიცხვა 2"** სილაბუსის ავტორებს დაემატა ასოცირებული პროფესორი მ. ჯიქია; 2. სასწავლო კურსის **„ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში"** ავტორი გახდა ასისტენტ-პროფესორი ლია კოზმანაშვილი.

საფუძველი: პროგრამის გაძლიერება ადამიანური რესურსებით, ასევე აღრიცხვა ანალიზი, აუდიტის კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა ი. ჭილაძემ საკუთარი სურვილით შეწყვიტა პედაგოგიური საქმიანობა. გამომდინარე აქედან, სასწავლო კურსები, რომელსაც უძღვებოდა ქალ. ი. ჭილაძე, საჭირო გახდა ცვლილებების განხორციელება.

- **ცვლილება: სასწავლო კურსის წინაპირობების ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება" (180 კრედიტი) წინაპირობა მოეხსნა შემდეგ სასწავლო კურსებს: **1.** მოდულების „მენეჯმენტი" და „საჯარო მმართველობა" სავალდებულო სასწავლო კურსს **„ორგანიზაციული ქცევის მართვა"**; 2. მოდულის „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი" სავალდებულო სასწავლო კურსებს **„ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი"** და **„საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმსა და მასპინძლობაში".**

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება მოდულის შესაბამისად

- **ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების დამატება.**

- **ცვლილების აღწერა:** ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „ბიზნესის ადმინისტრირება" (240 კრედიტი) დაემატა თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები: 1. **„რაოდენობრივი მეთოდები ბიზნესში"** (5 კრედიტი, შემოდგომის სემესტრი, სილაბუსის ავტორი, ასოცირებული პროფესორი ი. ანანიაშვილი, ასოცირებული პროფესორი ლ. თოთლაძე). კურსი გააფართოებს პროგრამის არჩევითი კურსებს და შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს განივითარონ პრაქტიკული უნარ-

ჩვევები; 2.**„კურორტის მენეჯმენტი"** (5 კრედიტი, შემოდგომის სემესტრი, სილაბუსის ავტორი, ასოც. პროფესორი ნ. კაციტაძე).

საფუძველი: პროგრამის გაფართოება არჩევითი კურსების შეთავაზებით. აღნიშნული სასწავლო კურსებით პროგრამის გაფართოება ესადაგება კლასტერული აკრედიტაციის დროს ექსპერტთა დასკვნის რჩევებს, შესაბამისად, ცვლილება თანხვედრაშია 2024 წლის 13 დეკემბრის პროგრამის აკრედიტაციის № 1614169 გადაწყვეტილებასთან, რჩევა 16.

- **ცვლილება: თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსის ჩანაცვლება.**

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამაში თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსი **„C++ პროგრამირება ეკონომიკასა და ბიზნესში"** ჩანაცვლდება სასწავლო კურსით **„C# პროგრამირება ეკონომიკასა და ბიზნესში".** აღნიშნული კურსი სტუდენტებს აძლევს გართო შესაძლებლობას აითვისონ პროგრამირების ენა და გაიაზრონ, თუ როგორ შეიძლება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციისა და მონაცემთა ანალიზისათვის.

საფუძველი: პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსის ჩანაცვლება იმავე მიმართულების ახალი, უფრო გაღრმავებული სპექტრისა და შინაარსის კურსის შეთავაზებით.

- **ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება/მოდიფიცირება.**

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში **„მენეჯმენტის საფუძვლები"** დაკორექტირდა შეფასების კომპონენტები, კერძოდ, განხორციელდა შეფასების კრიტერიუმების ოპტიმიზაცია და განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმებით: სასემინარო/პრაქტიკულ მეცადინეობაზე აქტიურობა (30 ქულა, მათ შორის: ზეპირი/წერითი გამოკითხვა სასემინარო მეცადინეობაზე - 20 ქულა, აქტიურობა სამუშაო ჯგუფებში და პრაქტიკულ მეცადინეობებზე - 5 ქულა, საშინაო დავალებების პრეზენტაცია – 5 ქულა); შუალედური გამოცდა (30 ქულა); დასკვნითი გამოცდა (40 ქულა).

შენიშვნა: აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში.

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსის კომპონენტების განახლება/ოპტიმიზაცია, შეფასების უფრო ეფექტური სისტემით.

- **ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსში გამოცდის ჩატარების ფორმატის ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** მოდულის აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი სავალდებულო სასწავლო კურსში **„პროფესიონალი ბუღალტერიისა და აუდიტის ეთიკა"** შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი ფორმით თსუ საგამოცდო ცენტრში, ნაცვლად კომპიუტერისა.

საფუძველი: გამოცდის ფორმატის ცვლილება გამოწვეულია სასწავლო კურსში არსებული დავალებებიდან გამომდინარე.

3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება " (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება 57, დანართი 81)

- **ცვლილება: სასწავლო კურსის წინაპირობების ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** მოეხსნას წინაპირობა 1. კონცენტრაციისთვის „საერთაშორისო ბიზნესი" არჩევითი სასწავლო კურსს **„კორპორაციული ანგარიშგება"**; 2. კონცენტრაციისთვის „მარკეტინგის" არჩევითი სასწავლო კურსებს: **„მომსახურების მარკეტინგი", „სურსათის მარკეტინგი", "სოციალური მარკეტინგი", „მარკეტინგი მოგზაურობასა და ტურიზმში", „საზოგადოებასთან ურთიერთობები", „ბიზნეს მარკეტინგი".**

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება კონცენტრაციის შესაბამისად.

- **ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში ახალი არჩევითი სასწავლო კურსების დამატება.**

- **ცვლილების აღწერა:** კონცენტრაციას „საერთაშორისო ბიზნესი" დაემატა ახალი არჩევითი სასწავლო კურსი **„ბიზნესში მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ისა და SPSS-ის გარემოში"**
- **ცვლილების აღწერა:** კონცენტრაციას „საჯარო მმართველობა" დაემატა ახალი არჩევითი სასწავლო კურსი **„რეგულირების გავლენის შეფასება II"** (შემოდგომის სემესტრი)
- **ცვლილების აღწერა:** კონცენტრაციას „მარკეტინგი" დაემატა ახალი არჩევითი სასწავლო კურსი **„მარკეტინგული არხები"** (მე-3 შემოდგომის სემესტრი, 2024-2026 წწ;)

საფუძველი: პროგრამის კონცენტრაციის გაფართოება არჩევითი კურსების შეთავაზებით.

- **ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორისა და წამკითხველი ლექტორის ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** 1. კონცენტრაციის „აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი" სავალდებულო სასწავლო კურსებს: ა. სასწავლო კურსი **„ფინანსური ანალიზი"** - ავტორი გახდა ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯიქია; 2. კონცენტრაციის „მარკეტინგი" სავალდებულო სასწავლო კურსის ა. **„მომხმარებელთა ქცევა"** სილაბუსის ავტორი პროფ. ნ. თოდუა; ბ. სავალდებულო სასწავლო კურსის **„ბრენდინგი"** სილაბუსის ავტორი პროფ. ნ. თოდუა და მოწვეული პედაგოგი ლ. კრიხელი; გ. არჩევითი სასწავლო კურსის **„სურსათის მარკეტინგი"** სილაბუსის ავტორი პროფ. ნ. თოდუა და მოწვეული პედაგოგი ლ. ბერიკაშვილი. შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდეს მაგისტრატურის ბიზნესის ადმინისტრირების ყველა წლის საგანმანათლებლო პროგრამებში პროგრამის კურიკულუმის შესაბამისად.

საფუძველი: პროგრამის გაძლიერება ადამიანური რესურსებით, ასევე აღრიცხვა ანალიზი, აუდიტის კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა ი. ჭილაძემ და მარკეტინგის კათედრის ასისტენტ-პროფესორმა მ. ვეშაგურმა საკუთარი სურვილით შეწყვიტა პედაგოგიური

საქმიანობა. გამომდინარე აქედან, სასწავლო კურსებში, რომელებსაც უძღვებოდნენ აღნიშნული პედაგოგები, საჭირო გახდა ცვლილებების განხორციელება.

- **ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის ჩანაცვლება.**
- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი **„მმართველობითი აღრიცხვა II"** **ჩანაცვლდეს სასწავლო კურსით "საქმიანობის შედეგების შეფასება და ანალიზი"** . აღნიშნული ცვლილება უკვე განხორციელდა 2025-2026 სასწავლო წლისთვის აკრედიტებულ სამაგისტრო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება".

  შენიშნა: ამჯერად, ცვლილება უნდა გავრცელდეს 2021-2024წწ პროგრამებშიც, კერძოდ, სტუდენტებს, რომელთაც სასწავლო კურსი არ გაუვლიათ ან ვერ აიღეს კრედიტი ჩაუნაცვლდებათ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსით **"საქმიანობის შედეგების შეფასება და ანალიზი II"**. აღნიშნული ცვლილება არ ახდენს გავლენას სწავლის შედეგებზე.

საფუძველი: პროგრამის კურიკულუმში, სავალდებულო კურსების მოდიფიცირება/ჩანაცვლება.

- **ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსში გამოცდის ჩატარების ფორმატის ცვლილება.**
- **ცვლილების აღწერა:** 1. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში **„სტრატეგიული მენეჯმენტი" და „რისკ მენეჯმენტი"** შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების წერითი ფორმატი შეიცვალა ტესტირებული გამოცდით კომპიუტერზე; 2. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსში **„სტრატეგიული მენეჯმენტი ციფრულ ეკონომიკაში"** შუალედური და დასკვნითი ტარდება წერითი ფორმით: ა. თსუ საგამოცდო ცენტრში ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამისთვის; ბ. კონცენტრაციებისა და ერთწლიანი პროგრამებისთვის გამოცდას ჩაატარებს პედაგოგი.

საფუძველი: სასწავლო კურსებში გამოცდის ჩატარების ფორმატის დაზუსტება. გამოცდის ფორმატის ცვლილება გამოწვეულია სასწავლო კურსში არსებული დავალებებიდან გამომდინარე.

- **ცვლილება: სასწავლო კურსში კრედიტების (მოცულობის) ცვლილება.**
- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის მარკეტინგის კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსს **„გლობალური მარკეტინგი"** 10 კრედიტის ნაცვლად გახდა 5 კრედიტი.

საფუძველი: სასწავლო კურსის მიზნების, სწავლის შედეგების, შინაარსის გათვალისწინებით აღნიშნულ კურსში დაზუსტდა კრედიტების მოცულობა (საათები), ცვლილება არ ახდენს გავლენას სწავლის შედეგებზე. ამასთან, აღნიშნული ცვლილება თანხვედრაშია 2024 წლის 13 დეკემბრის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილების რეკომენდაცია N1-ის შესრულების გარემოებასთან.

- **ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის (2025-2027 წწ) კონცემტრაცია მარკეტინგის არჩევითი სასწავლო კურსს **„მარკეტინგული არხები"** შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო კურსი (მე-2 სემესტრი)

საფუძველი: ცვლილება გამოწვეული იყო სასწავლო კურსში „გლობალური მარკეტინგი" კრედიტების შემცირებით და კონცენტრაციის სასწავლო კურსების გაფართოებით სავალდებულო სასწავლო კურსით. აღნიშნული ცვლილებებს იწვევს კონცენტრაცია მარკეტინგის სწავლის შედეგებზე (რომელიც ასახულია შეფასების რუკაში)

- **ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრული ცვლილება.**
- **ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის კონცენტრაციის „მარკეტინგი" არჩევითი სასწავლო კურსს **„სურსათის მარკეტინგი"** მე-4 სემესტრის ნაცვლად განესაზღვროს მე-3 სემესტრი(2025-2027წწ.).

საფუძველი: კონცენტრაციის სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" (აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 სექტემბრის დადგენილება *77*, დანართი 311)

- *ცვლილება:* **სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება/მოდიფიცირება**
- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა - სწავლის მეთოდების, შეფასების ფორმებისა და ქულების მოდიფიცირებისათვის, განახლდა ლიტერატურა, შეიცვალა შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების დრო. პროგრამის სასწავლო კურსის პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი სილაბუსში სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია / პირობებში დაზუსტდა ნაშრომის შერჩევისა და დამტკიცების პირობები, კერძოდ, „ნაშრომის თემას ირჩევს სტუდენტი, ხოლო თემის სახელწოდების შეთანხმება უნდა მოხდეს მეორე სემესტრის დასაწყისში ხელმძღვანელთან. განხორციელებული აღნიშნული ცვლილებები შეეხო შემდეგ სასწავლო კურსებს: **„აკადემიური წერისა და კვლევის პრაქტიკული სემინარი", „უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები", „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა", „საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოება", „სტრატეგიული ლიდერობა", „ეროვნული თავდაცვის დაგეგმვა და მართვა", „თეატრის სტრატეგიისა და კამპანიის დაგეგმვა", „სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები", "სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში" პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი.**

საფუძველი: სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება/მოდიფიცირება, რომელიც თანხვედრაშია 2024 წლის 13 დეკემბრის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილების რეკომენდაცია N2-ის შესრულების გარემოებასთან.

- <u>*ცვლილება:*</u> **სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამის სავალდებულო სასწავლი კურსს **„სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები"** შეეცვალა სტატუსი და გახდა არჩევითი სასწავლო კურსი. აღნიშნული ცვლილება არ ქმნის წინააღმდეგობას პროგრამის მიზნისა და შედეგების განხორციელების კუთხით. SC100-ის სასწავლო კურსის ფარგლებში არსებული რამდენიმე მსგავსი მეცადინეობა შეტანილია „სტრატეგიული ლიდერობის" (SL100) და „უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლების" (PS100) სავალდებულო სასწავლო კურსების სასწავლო გეგმებში, რაც სრულებით საკმარისია პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევისათვის.

საფუძველი: პროგრამის თანახელმძღვანელის სასწავლო პროგრამაზე მუშაობის პროცესში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოიკვეთა ზემოაღნიშნული სასწავლო კურსის სტატუსის მოდიფიცირება. პროგრამის სპეციფიკისა და მიზნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა კურსის პროგრამაში არჩევით კურსად ინტეგრირება: ის საკითხები რაც **„სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები"** კურსის მიმდინარეობისას განიხილება (მ.შ. საკითხები - კრიტიკული აზროვნება, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებანი, სტრატეგიული აზროვნება, სტრატეგიის ფორმულირება, მოლაპარაკების სტრატეგიები და სხვა) დიდწილად ისწავლება პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში „სტრატეგიული ლიდერობა" და „უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები". შესაბამისად, აღნიშნული ცვლილების მიუხედავად, სტუდენტი ნებისმიერ შემთხვევაში გადის სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებზე. სტუდენტს თუ დაჭირდება კომუნიკაციასა და მოლაპარაკებებში მეტი ცოდნის მიღება, შესაძლებლობა ექნება დამატებით აიღოს „სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებების" სასწავლო კურსი, როგორც არჩევითი სასწავლო საგანი.

- <u>*ცვლილება:*</u> **სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობის ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** სასწავლო კურსებთან მიმართებით შეიქმნა აუცილებლობა მეცადინეობებისა და/ან სასწავლო საათების მოდიფიცირებისა. კერძოდ, ცვლილებები რიგი სემინარის, ლექციის, პრაქტიკულის და/ან თვით მომზადების საათის დამატებისათვის. გამომდინარე აქედან, განხორციელდა კრედიტების მოცულობის კორექტირება პროგრამის სასწავლი კურსებში: 1. **„აკადემიური წერისა და კვლევის პრაქტიკული სემინარი"** (სავალდებულო კურსი, იყო 3 კრედიტი გაიზარდა და გახდა 5 კრედიტი), **„უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები"** (სავალდებულო კურსი, იყო 3 კრედიტი გაიზარდა და გახდა 4 კრედიტი), **„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა"** (სავალდებულო კურსი, იყო 5 კრედიტი გაიზარდა და გახდა 6 კრედიტი), **„საერთაშორისო და რეგიონული**

უსაფრთხოება" (არჩევითი კურსი, იყო 5 კრედიტი გაიზარდა და გახდა 6 კრედიტი), შესაბამისად, სასწავლო კურსებში - „უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლების" (PS100), „აკადემიური წერისა და კვლევის პრაქტიკული სემინარი" (AW100) და „სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები" (SC100) დამატებული და მოდიფიცირებულია სასწავლო კურსის მიწაარსები (დანართი 1-ები). ყველა ეს 3 (სამი) მოდული გახდა **5-5 კრედიტიანი.** აღნიშნული გარემოება ასახულია, როგორც სამაგისტრო პროგრამის (EMBA) კურიკულუმში, ასევე თითოეული ამ კურსის სილაბუსშიც.

საფუძველი: სასწავლო კურსებში კრედიტების მოცულობის (საათების) ცვლილება/დაზუსტება, რომელიც თანხვედრაშია 2024 წლის 13 დეკემბრის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილების რეკომენდაცია N1-ის შესრულების გარემოებასთან.

- **ცვლილება: პროგრამაში პერსონალის ჩანაცვლება.**

- **ცვლილების აღწერა:** მომდევნო სემესტრიდან ცვლილებები განხორციელდა სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორის/განმახორციელებელი პერსონალის მიმართულებით, კერძოდ: 1. სავალდებულო სასწავლო კურსის **„აკადემიური წერისა და კვლევის პრაქტიკული სემინარი"** განმახორციელებელი პერსონალი ნინო ოხანაშვილი ჩაანაცვლა ირინა ალაპაშვილმა; 2. სავალდებულო სასწავლო კურსის **„სტრატეგიული ლიდერობა"** განმახორციელებელი პერსონალი მამუკა ქავთარაძე ჩაანაცვლა მამუკა კოპეიკინმა; არჩევითი სასწავლო კურსის **„ეროვნული თავდაცვის დაგეგმვა და მართვა"** განმახორციელებელი პერსონალი ზვიად შანავა ჩაანაცვლა ივანე ოქრომჭედლიშვილმა. 3. სავალდებულო სასწავლო კურსიდან **„პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი"** ამოღებულია მამუკა ქავთარაძე და ზვიად შანავა. აღნიშნული ცვლილებები ასევე ასახულია პროგრამის კურიკულუმში.

საფუძველი: ნინო ოხანაშვილმა, სამუშაო/პედაგოგიური გრაფიკის დატვირთვიდან გამომდინარე, შეუძლებლად მიიჩნია აღნიშნული კურსის გაძღოლა. ხოლო, მამუკა ქავთარაძემ და ზვიად შანავამ შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი (გავიდნენ მუდმივ საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში). აღნიშნული ლექტორების კვალიფიკაცია და პრაქტიკული პედაგოგიური გამოცდილება სრულად შეესაბამება ამ სასწავლო კურსების განმახორციელებლებისათვის განსაზღვრულ დონეს.

5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება 57, დანართი 85)

- *ცვლილება:* **პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილება **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში, კერძოდ:**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ბიზნესის ადმინისტრირება“** სწავლა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს:

- ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ✓ შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და დონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- ✓ **ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა** (ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა, რომელიც აღიარებული უნდა იყოს თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ან ან თსუ-ს მიერ ორგანიზებული წერილობითი გამოცდის ჩაბარება ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაში); **გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში, დოქტორანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება არანაკლებ B1 დონეზე.** (დანართი №2). https://www.tsu.ge/ka/legalakad/50806
- ✓ აქვს პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია/ თანხმობა;

- დოქტორანტურის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს კვლევის თეზისი/პროექტი.
- დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული 2 ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში;
- დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას დარგობრივ კომისიასთან.

დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით და ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯაროა და განთავსებულია თსუ და ფაკულტეტის ვებ გვერდზე.

საფუძველი: პროგრამაზე დაშვები წინაპირობებში განხორციელებული ცვლილება თანხვედრაშია დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტსა (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება N: 138/2024; 13.12.2024) და შესაბამისად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში განხორციელებულ ცვლილებასთან (ფაკულტეტის საბჭოს სხდომა №10; 30 მაისი, 2025)

ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“ (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება 57, დანართი 79)

- **ცვლილება: სასწავლო კურსის წინაპირობების ცვლილება.**

- **ცვლილების აღწერა:** ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ტურიზმი" წინაპირობა მოეხსნა ა. პროგრამის არჩევით სასწავლო კურსს **„ტურის გამყოლის (გიდის) მომსახურება";** ბ. პროგრამის მოდულის „ტურიზმის მენეჯმენტის" სავალდებულო სასწავლო კურსს **„ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი";** პროგრამის მოდულის „მასპინძლობის მენეჯმენტი" სავალდებულო სასწავლო კურსებს **„საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმსა და მასპინძლობაში"; „კურორტის მენეჯმენტი".**

საფუძველი: სასწავლო კურსების სიღრმეების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება პროგრამის შესაბამისად

2. **დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი" (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება 57, დანართი 86)**

➢ *ცვლილება:* **პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ცვლილება**

- **ცვლილების აღწერა:** განხორციელდა ცვლილება **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში, კერძოდ:**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი"** სწავლა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს:

- ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ✓ შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- ✓ **ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა** (ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა, რომელიც აღიარებული უნდა იყოს თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ან ან თსუ-ს მიერ ორგანიზებული წერილობითი გამოცდის ჩაბარება ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაში); **გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში, დოქტორანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება არანაკლებ B1 დონეზე.** (დანართი №2). https://www.tsu.ge/ka/legalakad/50806
- ✓ აქვს პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია/ თანხმობა;

- დოქტორანტურის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს კვლევის თეზისი/პროექტი.
- დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული 2 ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში;
- დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას დარგობრივ კომისიასთან.

დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით და ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯაროა და განთავსებულია თსუ და ფაკულტეტის ვებ გვერდზე.

საფუძველი: პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განხორციელებული ცვლილება თანხვედრაშია დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტსა (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება N: 138/2024; 13.12.2024) და შესაბამისად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში განხორციელებულ ცვლილებასთან (ფაკულტეტის საბჭოს სხდომა №10; 30 მაისი, 2025).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 22 წევრმა.

დადგინეს: **დამტკიცდეს** თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები: **ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა"; მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" , დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა"; ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება (180 კრედიტი)"; ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება (240 კრედიტი)"; მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება"; მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" (60 კრედიტი); დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება"; ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი"; დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი"** წარმოდგენილი ცვლილებით.

2. **წარმოდგენილია მაგისტრატურის ახალი საგანმანათლებლო პროგრამის (EMBA) „მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები" (60 ECTS; პროგრამის ხელმძღვანელები პროფესორი დ. სიჭინავა, ასოცირებული პროფესორი რ. სეთურიძე)** მასალები, კერძოდ: პროგრამის სტრუქტურა, სილაბუსები, სწავლის შედეგების რუკები; შრომის ბაზრის კვლევის მასალები, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის

ოქმიდან ამონაწერი. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სფეროს მართვის შესახებ თეორიული და პრაქტიკული საკითხების სიღრმისეული ცოდნა; დარგში ორგანიზაციის სტრატეგიის განხორციელების, ოპტიმალური და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების, ორგანიზაციული პროცესების ადეკვატური შეფასებისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევები; ციფრული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვას, მონაცემთა ბაზების ეფექტიან მართვას, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცვის ზომების გაძლიერებას და განვითარებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 22 წევრმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა (EMBA) **„მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები"** (60 ECTS) და მიეცეს შემდგომი მსვლელობა.

3. **წარმოდგენილია მაგისტრატურის ახალი საგანმანათლებლო (EMBA) პროგრამის „ბიზნეს-ანალიტიკა" (60 ECTS; პროგრამის ხელმძღვანელები პროფესორი გ. ღლანიძე, ასოცირებული პროფესორი თ. მუნჯიშვილი)** მასალები, კერძოდ: პროგრამის სტრუქტურა, სილაბუსები, სწავლის შედეგების რუკები; შრომის ბაზრის კვლევის მასალები, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმიდან ამონაწერი. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ორგანიზაციაში ოპტიმალური/ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად ბიზნეს-ანალიტიკის სფეროში თანამედროვე ანალიტიკური უნარებისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარი; შეძლებს ბიზნესთან (ბიზნესპროცესებთან) დაკავშირებული მონაცემების გადამუშავებას, გაანალიზებას, შეფასებას და მართვას ბიზნეს ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 22 წევრმა.

დაადგინეს: **დამტკიცდეს** მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა (EMBA) „ბიზნეს-ანალიტიკა" (60 ECTS) და მიეცეს შემდგომი მსვლელობა.

წარმოდგენილია თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საგანმანათლებლო პროგრამებში - **ბაკალავრიატის** საგანმანათლებლო **პროგრამა „ეკონომიკა" (ინგლისურენოვანი); მაგისტრატურის** საგანმანათლებლო **პროგრამა „ეკონომიკა" (ინგლისურენოვანი), მაგისტრატურის** საგანმანათლებლო **პროგრამა „ფინანსები" (ინგლისურენოვანი)** - განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ:

1. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" (ინგლისურენოვანი) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 274):

- **ცვლილება: სავალდებულო სასწავლო კურსის „ინგლისური ენა 3" კურიკულუმიდან ამოღება.**
- **ცვლილების აღწერა:** ბოლო წლებში, სტუდენტები ავლენენ ინგლისური ენის მაღალ ცოდნას, რასაც მოწმობს მათი აკადემიური მოსწრება ინგლისურ ენაზე ჩატარებულ სხვა შინაარსობრივად დატვირთულ კურსებში და ამასთან ერთად დამსაქმებლისგან მიღებული უკუკავშირი. „ინგლისურ ენა 1"-სა და „ინგლისური ენა 2"-ში სრულად არის გათვალისწინებული ის უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომელიც საჭიროა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის ინგლისური ენის აკადემიური უნარების გამომუშავებისთვის. შესაბამისად, "ინგლისური ენა3", რომელიც ძირითადად აძლიერებს გრამატიკას და ზოგად ენობრივ სტრუქტურას, აღარ წარმოადგენს მნიშვნელოვან დამატებით ღირებულებას და არაეფექტური გახდა აღნიშნული კურსის გავლა.

  საფუძველი: პროგრამის სრულყოფა ISET-ის ინგლისური ენის დეპარტამენტის მიერ წარმოებული დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე.

- **ცვლილება: სავალდებულო სასწავლო კურსის „აკადემიური წერა" წინაპირობის ცვლილება.**
- **ცვლილების აღწერა:** „ინგლისური ენა 3"-ის პროგრამის კურიკულუმიდან ამოღებამ განაპირობა „აკადემიური წერის" კურსის წინაპირობად „ინგლისური ენა 2"-ის ჩასმა.

  საფუძველი: პროგრამის სრულყოფა ISET-ის ინგლისური ენის დეპარტამენტის მიერ წარმოებული დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე.

- **ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსის „ეთიკა ეკონომიკაში" დამატება.**
- **ცვლილების აღწერა:** საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტო FIBAA-ს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად საბაკალავრო პროგრამას დაემატა სავალდებულო 5

კრედიტიანი სასწავლო კურსი „ეთიკა ეკონომიკაში". აღნიშნული ცვლილება ემსახურება სტუდენტების პროფესიული და აკადემიური კომპეტენციების გაღრმავებას ეთიკის მიმართულებით და მიზნად ისახავს ეკონომიკური გადაწყვეტილებების ღირებულებით კონტექსტში გააზრების ხელშეწყობას.

შენიშვნა (დათქმა): სტუდენტებისთვის, ვისაც 2025-2026 სასწავლო წლამდე გავლილი აქვს სავალდებულო სასწავლო კურსი „ინგლისური ენა 3", სასწავლო კურსის „ეთიკა ეკონომიკაში" გავლა არ არის სავალდებულო.

საფუძველი: საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტო FIBAA-ს მიერ გაცემული რეკომენდაცია. სტუდენტთა მზარდი დაინტერესება ეკონომიკური საქმიანობის ეთიკური ასპექტებით.

- **ცვლილება: არჩევითი სასწავლო კურსში „გავლენის შეფასება" ეთიკის საკითხების ინტეგრირება და მოწვეული ლექტორის სტატუსით ახალი პერსონალის ჩართვა პროგრამის განხორციელებაში.**

- **ცვლილების აღწერა:** საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტო FIBAA-ს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად მოხდა არსებული სასწავლო კურსის „გავლენის შეფასება" სილაბუსის მოდიფიცირება და ეთიკის საკითხების ინტეგრირება, კერძოდ, სასწავლო კურსის შინაარსში გავლენის შეფასების ეთიკური ფუნდამენტური პრინციპების, ეთიკური კელევის ჩატარებისა და გამჭვირვალობის ეთიკის საკითხების დამატება. სასწავლო კურსის წასაკითხად მოხდა ბატონი დასტინ გილბრითის ჩართვა მოწვეული ლექტორის სტატუსით.

საფუძველი: საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტო FIBAA-ს მიერ გაცემული რეკომენდაცია.

- **ცვლილება: არჩევითი სასწავლო კურსის „ფული, ბაზრები, ვაჭრობა და განვითარება" კურსის დამატება და მოწვეული ლექტორის სტატუსით ახალი პერსონალის ჩართვა პროგრამის განხორციელებაში.**

- **ცვლილების აღწერა:** სტუდენტთა გამოკითხვების შედეგად გამოიკვეთა მათი ინტერესი ისეთი საკითხების შესწავლის მიმართ, როგორიცაა როგორიცაა ფულის, კრედიტის, საბანკო საქმისა და ეკონომიკური განვითარების საკითხები. შესაბამისად სტუდენტების ინტერესისა და პროგრამის თანახელმძღვანელის ინიცირებით მოხდა აღნიშნული სასწავლო კურსის კურიკულუმში დამატება და ახალი პერსონალის, ბ-ნ ლევან ნადიბაიძის ჩართვა მოწვეული ლექტორის სტატუსით.

საფუძველი: პროგრამის გაუმჯობესება სტუდენტთა გამოკითხვების შედეგად გამოვლენილი მაღალი ინტერესის შესაბამისად.

- **ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსის „ეთიკა და ფინანსები" დამატება.**

- **ცვლილების აღწერა:** პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი სასწავლო კურსი „ეთიკა და ფინანსები", რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში ისეთი უნარის განვითარებას, რომ

ეთიკური კუთხით შეაფასონ ფინანსური ქცევა და გადაწყვეტილებების ზეგავლენა საზოგადოებაზე. აღნიშნული კურსი მოამზადებს სტუდენტებს რეალურ ფინანსურ კონტექსტში ეთიკური დილემების გასაანალიზებლად და მისი გადაჭრისთვის.
საფუძველი: საერთაშორისო აკრედიტაციის საგენტო FIBAA-ს მიერ გაცემული რეკომენდაცია, ეთიკასთან დაკავშირებული კურსებით კურიკულუმის გამდიდრება.

2. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა" (ინგლისურენოვანი) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 82):

- **ცვლილება: სავალდებულო სასწავლო კურსების (მაკროეკონომიკა I, მაკროეკონომიკა II, მაკროეკონომიკა III, სტატისტიკა I, სტატისტიკა II, ეკონომეტრიკა I, ეკონომეტრიკა II) მოდიფიცირება.**

- **ცვლილების აღწერა:** სავალდებულო სასწავლო კურსებში (მაკროეკონომიკა I, მაკროეკონომიკა II, მაკროეკონომიკა III, სტატისტიკა I, სტატისტიკა II, ეკონომეტრიკა I, ეკონომეტრიკა II) განახლდა თემატიკა და სავალდებულო ლიტერატურა, გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ სავალდებულო კურსებში ჩაერთნენ ისევ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მუდმივი შტატის ლექტორები – ასისტენტ-პროფესორი გიორგი ფირიაშვილი, ნიკოლოზ ფხაკაძე და მუდმივი ლექტორი ლაშა ჭოჭუა.
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსობრივი გადახედვა და განახლება, რათა პროგრამა უკეთ შეესაბამებოდეს თანამედროვე აკადემიურ და პროფესიულ სტანდარტებს.

3. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსები" (ინგლისურენოვანი) (აკადემიური საბჭოს #106/2021; 29/11/2021 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 306):

- **ცვლილება:_ საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პერსონალის სტატუსით ახალი ლექტორის ჩართვა.**

- **ცვლილების აღწერა:** 2025–2026 სასწავლო წლისთვის პროგრამაში რამდენიმე ლექტორის მხრიდან პროფესიული საქმიანობის გათვალისწინებით და დამატებითი პასუხისმგებლობის გაზრდის გამო საჭირო გახდა ახალი კადრების ჩართვა.
შესაბამისად, 2025–2026 სასწავლო წლიდან პროგრამას მოწვეული ლექტორის სტატუსით შეუერთდებიან შემდეგი სპეციალისტები:

✓ **ლაშა კელიხაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ; CFA სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსთა პროგრამის წევრი - კურსები: (1) ფინანსური და

მმართველობითი აღრიცხვა. (2) ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1. (3) ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2.

- ✓ **სოფიო ბიწაძე** – CFA სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსთა პროგრამის წევრი - კურსი: (1) ფინანსური ბაზრები და ინსტიტუციები; (2) სიმდიდრის მენეჯმენტი.
- ✓ **ნიკა კილაძე** – CFA სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსთა პროგრამის წევრი - კურსები: (1) კაპიტალი პორტფელის მენეჯმენტში (2) Capstone პროექტი.

საფუძველი: პროგრამის გაძლიერება ადამიანური რესურსებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 22 წევრმა.

დაადგინეს: **დამტკიცდეს** თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საგანმანათლებლო პროგრამები - **ბაკალავრიატის** საგანმანათლებლო **პროგრამა „ეკონომიკა" (ინგლისურენოვანი); მაგისტრატურის** საგანმანათლებლო **პროგრამა „ეკონომიკა" (ინგლისურენოვანი), მაგისტრატურის** საგანმანათლებლო **პროგრამა „ფინანსები" (ინგლისურენოვანი)** - წარმოდგენილი ცვლილებით.

5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის **მ. ჩავლეიშვილის** მიერ წარმოდგენილია საკითხი თსუ კურსდამთავრებულისათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№16728/10, 07.07.2025) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა 2000 წელს ბაკალავრიატის და 2003 წელს მაგისტრატურის კურსდამთავრებულ **ია გეგიას** დიპლომის დანართები ცნობის სახით სასწავლო კურსების, შეფასებების, საათების, კრედიტების რაოდენობისა და დიპლომის საშუალო ქულა GPA-ის მითითებით, რისთვისაც საჭიროა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა და მინიჭებული კვალიფიკაციის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ია ვლადიმერის ასული გეგია 1996 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების სტატისტიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/615, 6.08.1996).

ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (საბიუჯეტო) განყოფილების სტატისტიკის სპეციალობის ბაკალავრიატის საფეხურის კურსდამთავრებულ ია გეგიას ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის

27 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №9) გადაწყვეტილებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით**. ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2000 წლის 17 ივლისის №4/680 ბრძანებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებაში (№4/680, 14.07.2000) მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 27 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№9) დაფიქსირებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობაში სახელწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 27 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №9) გადაწყვეტილება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ. კერძოდ, კურსდამთავრებულ ია გეგიას მინიჭებული ხარისხის *„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით"* ნაცვლად მიენიჭოს *„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით"*. განხორციელებული ცვლილება კი გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 27 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№9) დაფიქსირებულ სტატისტიკის სპეციალობის დღის (საბიუჯეტო) განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 22 წევრმა.

დაადგინეს:

1. **შესწორდეს** ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 27 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №9) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულ ია გეგიას მინიჭებული ხარისხის *„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით"* ნაცვლად მიენიჭოს *„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით"*.
2. **აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს** ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 27 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№9) დაფიქსირებულ ყველა დღის (საბიუჯეტო) განყოფილების კურსდამთავრებულზე *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №9, 27.06.2000)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

6. დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის **მ. ლობჟანიძის** მიერ წარმოდგენილია საკითხი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№16278/10, 02.07.2025) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2009 წლის კურსდამთავრებულ **ოთარ რუხაძისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებასთან და კურსდამთავრებულის სახელზე დიპლომის დანართის მომზადება.

ოთარი რუხაძის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო რეკვიზიტების დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად, მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ სპეციალიზებული მოსამზადებელი განყოფილების მსმენელი ოთარი რუხაძე გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შედეგად 2004-2005 სასწავლო წელს კონტიგენტის ზევით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული

სწავლების საბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე (ბრძანება №4/615, 16.06.2004).

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ" თსუ რექტორის 2009 წლის 15 მაისის №942/01-04 ბრძანებით ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის საბიუჯეტო განყოფილების 2009 წლის კურსდამთავრებულ ოთარი რუხაძეს მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით (სახელმწიფო დაფინანსება 0%).

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ" თსუ რექტორის 2009 წლის 15 მაისის №942/01-04 ბრძანებით კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონთვალის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ 2016 წლის 29 მარტს (ოქმი №5) იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ. კერძოდ, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 15 მაისის №942/01-04 ბრძანებაში მითითებულ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულებს მინიჭებული **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის"** ნაცვლად მიენიჭოთ **„სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი"** *(იხ. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №5, 29.03.2016).*

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ" თსუ რექტორის 2009 წლის 15 მაისის №942/01-04 ბრძანების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №8145/02, 24.04.2009. ფაკულტეტზე არსებობს აღნიშნული წარდგინების ელექტრონული ვერსია, რომლითაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის (ოქმი №1) გადაწყვეტილების შესაბამისად სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს მიენიჭათ **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** ან **ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** შესაბამისი კვალიფიკაციით, კერძოდ:

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ:

- ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 24 კურსდამთავრებულს ფინანსების კვალიფიკაციით;

- აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 7 კურსდამთავრებულს ბუღალტრის კვალიფიკაციით;
- ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით;

ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ:

- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 8 კურსდამთავრებულს ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით;
- მაკროეკონომიკის სპეციალობის 6 კურსდამთავრებულს ეკონომისტის კვალიფიკაციით;
- ეკონომიკური თეორიის სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს ეკონომისტის კვალიფიკაციით
- სტატისტიკის სპეციალობის I კურსდამთავრებულს ეკონომისტის კვალიფიკაციით.

კურსდამთავრებულთა პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აღნიშნული სტუდენტების სწავლის ფაქტი. მათ მიენიჭათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მათ სახელზე გაიცა ბაკალავრის დიპლომები.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2009 წელს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები.

- **ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების** ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის (ოქმი №1) და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (ოქმი №2);
- **ეკონომიკის მიმართულების** ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის (ოქმი №1) და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (ოქმი №3).

*შენიშვნა: ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ყურადღება მიაქცია თსუ არქივის მიერ გაცემული საარქივო ცნობას, სადაც აღნიშნულია, რომ **„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის სხდომის (ოქმი №3) თსუ არქივში არ იძებნება“**. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური შეეცადა მოეძებნა ცნობაში მითითებული ოქმი, დადგინდა, რომ თსუ არქივს ოქმის ნომერი საარქივო ცნობაში მიუთითია კურსდამთავრებულის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომიდან (B №000300, სარეგისტრაციო №01/100053), რომელშიც როგორც ჩანს დაშვებულია შეცდომა. ფაკულტეტზე არ იძებნება 2009 წლის 19 თებერვლის №03 გადაწყვეტილება (საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმი). საატესტაციო კომისიის №3 ოქმის თარიღი არის 2009 წლის 21 სექტემბერი.*

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული საქმისწარმოებით დასტურდება ოთარ რუხაძის სწავლისა და ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტი და რადგან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არ იძებნება კურსდამთავრებული კვარი 2009 წლის მინიჭების საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმებში, მიზანშეწონილია მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს 2009 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. თსუ იურიდიულ დეპარტამენტთან შეთანხმებით ამ გადაწყვეტილების თარიღად პირობითად უნდა განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ".

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 22 წევრმა.

დაადგინეს: **აღდგენილად ჩაითვალოს** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 15 მაისის №942/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის საბიუჯეტო განყოფილების 2009 წლის კურსდამთავრებულ ოთარი რუხაძისათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) **თარიღად განისაზღვროს** *2009 წლის 15 მაისი*, ხოლო ოქმის ნომრად *№942/3*.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

დეკანი, პროფესორი **გ. ღღანიძე**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი **ლ. თოთლაძე**